საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1707

29/12/2021

ქ. თბილისი

ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კუჭატნის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით, 350 000 მ³ წელიწადში) მოპოვების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კუჭატნის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით, 350 000 მ³ წელიწადში) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი წარმოდგენილია ზღვის დონიდან 330-340 მეტრ სიმაღლეზე. ობიექტი მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კუჭატნის ტერიტორიაზე, შპს ,,ყვარლის ბაგას“ საკუთრებაში რეგისტრირებულ ტერიტორიაზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის ფართობია 0,07 ჰა, ხოლო GPS კოორდინატები: X - 570618.666 Y - 4640688.287. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტი უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია დაახლოებით 225 მეტრით.

მორფოლოგიური თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი (ერთი ჭაბურღილი) მდებარეობს მდ. ბურსას მარცხენა, ვაკე რელიეფის მქონე, ჭალისზედა პირველ ტერასაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. არსებული გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების ალაზნის არტეზიულ აუზს.

ალაზნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლები შესწავლილია პროგნოზული საექსპლუატაციო მარაგების შეფასების სტადიაზე. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე შეადგენს 160 მ-ს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ჭაბურღილი არ მიეკუთვნება თვითმდენი ჭაბურღილის ტიპს, ამიტომ მოთხოვნილი 350 000 მ³ /წელ.

წყლის რაოდენობა წარმოდგენილია C_2 კატეგორიით. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება სამეწარმეო დანიშნულებით.

ქიმიური შედგენილობით, ყვარლის ჰორიზონტის წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ-სულფატური, ნატრიუმ-კალციუმიან-მაგნიუმიანი, ნატრიუმიან-კალციუმიანი, ჰიდროკარბონატული კალციუმ-მაგნიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია მერყეობს 0,2-დან 1,0 გ/ლ-მდე; სიხისტე - 1.9 - 5.4 მგ/ექვ. წყალი მტკნარი და გამჭვირვალეა. გეოსაინფორმაციო პაკეტის მიხედვით, მიწისქვეშა წყლების ტემპერატურა შეადგენს 13- 14^{0}C-ს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან, ალაზნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლები აკმაყოფილებს სასმელი წყლის მოთხოვნებს და მომავალში მათი სასმელ-სამეურნეო და სამრეწველო ჩამოსხმის მიზნით გამოყენება შესაძლებელია, სამეწარმეო დანიშნულებით ლიცენზიის გაცემის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 5 წელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი თავმორთულია, რაც უნდა შენარჩუნდეს მისი ექსპლუატაციის პერიოდში. სალიცენზიო ობიექტიდან წყლის მოპოვება დასაშვებია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს და არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაცული სახეობები.

სალიცენზიო ობიექტზე წარმოდგენილია არსებული ჭაბურღილი, შესაბამისი თავმორთულობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ არის რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან და ახალი ტერიტორიების ათვისებასთან, რაც გამოიწვევდა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს დაბინძურებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით. სალიცენზიო ობიექტი დაშორებულია მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიისგან.

გამომდინარე იქიდან, რომ სალიცენზიო ობიექტზე წარმოდგენილია არსებული ჭაბურღილი, შესაბამისი თავმორთულობით და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, წიაღითსარგებლობის ობიექტზე მოსალოდნელი არ არის ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამინისტრომ უზრუნველყო სკრინინგის განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება და გადაგზავნილ იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები საზოგადოების მხრიდან სამინისტროში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის საქმიანობის მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, დგინდება რომ ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კუჭატნის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით, 350 000 $მ^3$ წელიწადში) მოპოვებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კუჭატნის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით, 350 000 $მ^3$ წელიწადში) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყვარლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი



მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი